ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 176

“ 15 ” აპრილი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.004.01.1116) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას *,,ქალაქ თბილისში,* გუდამაყრის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.004.01.1116) *არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ* თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 აპრილის №25.585.641 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №2ა-ში, მე-11 სართულზე არსებული 40.64 კვ.მ. ფართობის ბინა N1116 (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.004.01.1116) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ჯაბა ბელქანიასთვის (პ/ნ. 51001006112) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე